95
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 394 1918 წ. ოთხშაბათი, ნოემბერი 27. № 394

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რკინის გზაზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფრანგებმა ელზას-ლოტარინგიის ოკუპაცია დაამთავრეს. ინგლისი უცხოელთა და განსაკუთრებით გერმანელთათვის საზღვრებსა ჰკეტავს. მუშების წარმომადგენელნი ინგლისის პარლამენტში დარჩნენ. ადმირალმა ბიტტიმ უარჰყო გერმანიის საბჭ. წარმომადგენელთან ლაპარაკი. ბაქოში გენერალ ტომსონმა ბიჩერახოვის ჯარს იარაღი აჰყარა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებულნი ელისაბედ ლორთქიფანიძეს ასული, ივერიკო, ირაკლი, ნინო, და ნორა მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი ქმრისას დანარჩენი ძვირფასი მამისას

დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძისას.

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ნოემბრის 28-ს, ნაშუადღევის სამ საათზე. 1420

მელანია წილოსანისა, ნინო და ანტონ არჯევანიძეები შვილებით, ნიკოლოზ და ალექსანდრა ქართველიშვილები, მარიამ, თამარი და გიორგი, ვახტანგი და ეკატერინე ქართველიშვილები, ეფემია და ლევან ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას 22 ამ გიორგობისთვეს სოფ. ტყვიავში

ქეთევან გიორგის ასული ქართველიშვილისას.

გამოსვენება სადგურიდან დიდუბის ეკლესიაში ოთხშაბათს, ნოემბრის 27, დილის 11 ნახ. საათზე, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში ხუთშაბათს, ნოემბრის 28-ს. წირვის დასაწყისი დილის 10 ს. 2464

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი
სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.
ხუთშაბათს, 1918 წ. ნოემბრის 28-ს წარმოდგენილი იქნება:

სოფლის გმირები

პიესა 4 მოქმ. ნინოშვილის მოთხრობიდან, გადმოკეთებული პ. ირეთელის მიერ. მონაწილეობენ: ქ-ნი ს. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა; ბ.ბ. ა. თავდგირიძე, ე. თალაკვაძე, ი. რომანიშვილი. ს. ტარუაშვილი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. სალაყაია, ნ. ჭანკვეტაძე, შ. მამაჯანოვი.
ადგილების ფასი 3 მ. 50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღია ყოველდღე დილის 10—12-მდე და საღამოს 6—8 საათ.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ◆ შემდეგი წარმოდგენა დეკემბრის 1-ს.
რეჟისორი ი. ბარველი. 2462 ქარ. სახ. წარმ. წ. ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით,
მოზრდილ ქალ-ვაჟთათვის (წლოვანება განუსაზღვრელია)
გაიხსნა ყაზბეგის ქუჩაზე, № 18,

საღამოს ქართული გიმნაზია
(Вечерняя гимназія для взрослыхъ),

სახელმწიფო გიმნაზიის პროგრამით. ◆ სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე.
თხოვნების მიღება გრძელდება.
დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გიმნაზიის კანცელარიაში, საღ. 5—7 საათამდის.
5457 გიმნაზიის გამგე ა. იოანე.

განცხადება

ქართულ რკინის გზის შემოსავალ განყოფილების ეზოში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 70 ამა 25 ნოემბერს 1918 წელს (ახალი სტილით) 11-საათზე დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა წარსული წლების ანგარიშების და საბუთებისა წონით 400 ფუთამდე, ფასი 10 მანეთი ფუთი.
დაწვრილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართული რკინის გზისა, ჩერქეზოვის ქუჩა № 70—9 საათიდან 4 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმეებისა 1416

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დეკემბრის 6-ს დილით 12 საათზე არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა საბჭოს დარბაზში მადათოვის ქ. 3. სასურსათო საბჭოს საქონლის გადატან-გადმოტანაზე ქალ. ტფილისში, მაგალითად: ტფ. სადგურიდან საწყობებში სომხების ბაზარი (Армянскій базар) მანთაშევის ბნელი საწყობები (Темные ряды Манташтва). კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურიდან იმ ადგილებამდე, სადაც საბჭოს აგენტები მიუთითებენ, საწყობიდან საწყობში და სადგურზე და საზოგადოთ როგორც საჭიროება მოითხოვს.
ყველას, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, არდგენს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სახელზე განცხადებას, რომელშიდაც აღნიშნავს: 1. თავის გვარს, სახელს და მამის სახელს, 2. თავის მისამართს, 3. გადატანის ფასს ფუთზე და 4. საშუალებას, რომლითაც ის აწარმოებს გადატან-გადმოტანის საქმეს. (ერთ ცხენიან თუ ორ ცხენიანი მარხილებით, ფურგუნებით, ავტომობილებით თუ სხვას) და რაოდენობას გადასატან-გადმოსატან საშუალებებისა.
განცხადებები დაზღვეული და დახურული უნდა იყოს შემდეგი წარწერით სასურსათო საქონლის გადატან-გადმოტანის ჯიბრობაზე მონაწილეობის მისაღებად. ამ გვარი განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სამმართველოში.
უკანასკნელი ვადა განცხადებების წარმოდგენისა დანიშნულია მომავალ დეკემბრის 5-ს.
ცნობების მიღება შეიძლება მიმწოდებელ განყოფილების უფროსთან. 1419

სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს ნოემბრის 28-ს, **ოპერა**
მ. ალეშკოს, კანშინის, ისეცკის, მოლჩანოვის მონაწილეობით

ჟიდოვკა

ოპერა 4 მოქმ. მუს. პალევისა.
ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია. დასაწყისი საღ. 7½ ს.
შაბათს, ნოემბრის 30-ს საბანეევის, ორდას, ზალიპსკის, ისეცკის მონაწილეობით **რიგოლეტო**
კვირას, დეკემბრის 1-ლს დილით

პაიაცები და ქორწინება უკრაინაში

საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით

დუბროვსკი.

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1397

ტფილისი, ნოემბრის 27.

რუსეთისკენ

ომი გათავდა. გათავდა ის ომი, რომელსაც ბუმბერაზი სახელმწიფოები აწარმოებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. მაგრამ ძლიერთა შორის ომის გათავება კიდევ არ ნიშნავს მართლა ომის გათავებას. დღეს იმპერიალისტური სახელმწიფოები აწარმოებენ კიდევ უფრო უტიფარ ომს, ომს დაცემულ და უძლურ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ცენტრალური ადგილი დაცემულ სახელმწიფოებში, რომლის წინააღმდეგ დღეს მთელი ევროპაა ამხედრებული—რუსეთია. ამერიკა და ინგლისი ისე უპირებენ რუსეთის რევოლიუციის ჩაღრჩობას, როგორც ოდესღაც მეტერნიხმა და ალექსანდრე პირველმა ჩაღრჩო საფრანგეთის რევოლიუცია. სამხრეთიდან აწვებიან ლიბერალიზმის მანტიაში გახვეული შავრაზმელები, ეხლა კიდევ ემატება მათ ინგლისის რაზმები, ხოლო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ისევ ინგლისელები, ჩეხო-სლოვაკები და ათასგვარი ცნობილი და უცნობი თემები.

ჩვენ არ ვიცით, რით გათავდება იმპერიალისტების თანამედროვე „სამღვთო კავშირი“, თუ მსოფლიოს პროლეტარიატის ძალა ზღაპარია და ევროპის კაპიტალის ჟანდარმების ქუსლები გაჭყაპავენ რევოლიუციის ძალებს—ეს აქტი იმ კოშმარს გაამეფებს მთელს მსოფლიოში რომლის წიაღში სულს დიდხანს ვერ მოითქვამს ერების და მშრომლების დამცველები. ყოველ შემთხვევაში ამ სულის შემხუთველ ატმოსფერის წინააღმდეგ მთელი ჩვენი არსება უნდა იყოს მიმართული და გვწამდეს შემდეგი: რა სიდუხჭირის, გადაჭარბებულ გრძნობის ქვეყნად არ უნდა დავსახოთ სოვდეპია, მისი იმპერიალიზმის ქუსლებით დაჟეჟა სასურველ რევოლიუციონურ წყობილებათა მოსპობაა. რეაქციის ფარფაშია და საქართველოს დემოკრატია ამ სამწუხარო კონცერტში სამარცხვინო მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რასაკვირველია ასეთი უნდა იყოს პოზიცია საქართველოსი თუ კი ამ ქვეყანაში ძალა და გავლენა ექნება რევოლიუციონურ დემოკრატიას. ასეთი პოზიცია საქართველოს დემოკრატიისათვის იმდენად გარკვეული უნდა იყოს, რომ არ დავბრმავდეთ არავითარის კაზუისტიკით, არავითარის ნიუანსებით, არავითარი პროექტები, თუნდ ეს პლანები გამოგვიხატონ დემოკრატიულის დეკორაციებით. სამწუხაროდ ჩვენ ასეთ გარკვეულს და გაბედულს აზრს ვერ ვხედავთ ჩვენში თუ ქართველ დემოკრატიის პსიქოლოგიის გამომხატველად მივიჩნევთ ცნობილ „ბორბის“, ჩვენი სოციალ-დემოკრატიის რუსულს ლეიბ ორგანოს. ეს გაზეთიც მოგვიწოდებს იქითკენ, საითკენაც მილიტარისტული ევროპა იცქირება.—რუსეთისაკენ. რუსეთში სურთ მოახდინონ ერობათა და ქალაქთა კავშირების ყრილობა, რათა ამ ძალთა ზღუდეზე ააგონ ჭეშმარიტი რუსეთი, მალიანტოვიჩებს სურთ ამ ყრილობაში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ერობის და ქალაქის კავშირმა, ხოლო მალინტოვიჩის ამ სურვილს კვერს უკრავს ტფილისში ხსენებული გაზეთი—„ბორბა“,

უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ სრულებით არ ვამბობთ, რომ არ შეგვიძლია რუსეთის დემოკრატიასთან ურთიერთობა, რომ ჩვენ ორგანიულად ვერ მოვთავსდებით ერთ დაწესებულებაში რუსებთან. ასეთი ზოოლოგიური ნაციონალიზმი ყოველთვის იყო ჩვენი უარყოფის საგანი. მაგრამ მალიანტოვიჩის კომბინაცია არის არა ქართველ დემოკრატიის დაახლოვება, ეს არის არსებითად იმ წმინდა საქმის გაკეთება, რომელსაც რეაქციონური ევროპა ისახავს: სოვდეპიის მოსპობა და ამავე დროს სხვა ეროვნულ რესპუბლიკების მოსპობაც. ნუ თუ „ბორბამ“ არ იცის, რომ ეს არსებითად ასეა და მალიანტოვიჩის ტენდენცია ეხლანდელ უფის, დონის და ყუბანის ტენდენციაა დენიკინის და ბიჩერახოვისთვის სანუკვარი?

რაკი მოსალოდნელ ყრილობას აქვს არა მარტო სამეურნეო ხასიათი, არამედ უმთავრესად პოლიტიკურ-ეროვნული მიზნები, აშკარაა, ეს მიზნები ძირის გამოთხრაა ეხლანდელ რუსის მთავრობისა, არსებითად ევროპის ჟანდარმების კოალიციის დახმარებაა და ამ საშინელ ავანტიურაში „ბორბა“ არ ხედავს, რომ ის უნებლიეთ თავს ამოაყობიებს საქართველოს.

მალიანტოვიჩები დაუძინებელი მტრები არიან რევოლიუციურ რუსეთის, ის მილიუკოვის და ვინავერის მარჯვენა ხელია და მის „ველიკორუსულ“ ტენდენციებში ჩვენ არ შეგვიძლია გავეხვიოთ.

მალიანტოვიჩებთან კავშირი მოასწავებს ჩვენს დამოუკიდებლობის მოსპობას და ამავე დროს იმ საფუძვლის დანგრევას, რომელზედაც სურს ააგოს თავისი შენობა რუსის დემოკრატიას. ეს კარგად უნდა ვიცოდეთ.

დუბროვსკის გაზეთს

ბიჩერახოვის შემოსვლის შესახებ ბაქოში ჩვენ აზრი გამოვსთქვით „სახალხო საქმეში“. ბიჩერახოვის საკითხი ჩვენი საზოგადოებისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხია ამ ჟამად. ბიჩერახოვთან—თუ ეს უკანასკნელი მრთალა იქნება რომელიმე სახელმწიფოებრივ ფორმაციის წარმომადგენელი—საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია ისეთი ლოიალური განწყობილება დაიჭიროს, როგორც ეს შეფერის თავისუფალ დამოკიდებულებას ერთ სუვერენულ სახელმწიფოს მეორე სუვერენულ სახელმწიფოსთან.

ჩვენ ამ შემთხვევაში არც ის გვავიწყდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მარტო ის კი არ არის საკმაო, რომ ქვეყნის დემოკრატიამ განაცხადოს საამისო ფორმალური თანხმობა. დღემდე ინგლისი არ ხედავდა ცხოვრებაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საქართველო იყო ნაწილი დიდი რუსეთისა და რუსეთთან კი ინგლისს ჰქონდა დიდი ეკონომიური და ფინანსიური კავშირი. დანაწილება რუსეთის, თვით რუსეთის (სოვდეპია) მიერ ინგლისის უარყოფა არის ამავე დროს იმ მილიარდების უარყოფაც, რომელიც ინგლისს 50 წლის განმავლობაში მიუსესხებია მთლიან რუსეთისათვის. ამისათვის ჩვენ გვესმის, რომ დღეს ინგლისი რუსეთის გაერთიანებას ცდილობს და უარყოფს იმ ბოლშევიზმს, რომელმაც უკვე უარყო ინგლისი. ეს ინტერესი ინგლისისა არის სწორი მატერიალური და კაპიტალისტური ინტერესი და ინგლისი ბუნებრივია ამ ინტერესს ყველა იმ ახალ სახელმწიფოს დაუყენებს წინ, რომელიც კი რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენდება. ამნაირად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეხლანდელ პირობებში საჭიროა არა მარტო ბოლშევიზმის ნანგრევებზე ხალხის პსიქოლოგიის შექმნა დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, არამედ იმ უფლებრივ და მატერიალურ ვალდებულებათა ცნობა-განაწილება, რომელიც კი დაუდვია რუსეთს სხვა და სხვა სახელმწიფოსთან. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოს რესპუბლიკას ამ მხრივაც დაცული აქვს სუვერენობა. ჩვენ მარტო იმიტომ კი არ უარვყავით ბოლშევიზმი, რომ ის ჰქმნიდა ახალ სახელმწიფოებრივ ფორმაციის დამრღვეველ ძალებს, არამედ იმიტომაც, რომ ის აგებდა თავის შენობას არსებულ უფლებრივ ატრიბუტების გარეშე. თუ სოვდეპია ნიშნავდა გადაჭრილ ომს საფრანგეთთან და ინგლისთან, საქართველო ნიშნავს მუდმივ ნეიტრალიტეტს, დაცვას საერთაშორისო სამართლის, იურიდიულ ნორმების და სახელმწიფოებთან ლოიალურ განწყობილების. თვით ეს აქტი აშკარად ხდის შემდეგ დასკვნას: საქართველო პასუხს აძლევს და კისრულობს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც კი მის დამოუკიდებლობის დასაცავად, ხოლო მოვალე სახელმწიფოების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო საქართველო, როგორც სახელმწიფო უკვე არსებობს თავისი ხარჯთ-აღრიცხვით, ჯარით, ადმინისტრაციით, კონტროლით და ეს არის გარანტია, რომ ჩვენი სახელმწიფო ყოველ ინტერესს აქცევს სერიოზულ ყურადღებას, როცა ასეთი ინტერესი აქვს თავის სასარგებლოდ, ან და სხვის სასარგებლოდ.

ფორმალურ—იურიდიულად, ფაქტიურად საქართველოს პოლიტიკა არსებითად განირჩევა სოვდეპიის პოლიტიკისაგან და აშკარაა ინგლისის პოლიტიკა საქართველოსადმი უნდა იყოს სულ სხვა გვარი პოლიტიკა, პოლიტიკა არა ბრძოლის, ჩვენი უარყოფის, არამედ ჩვენთან ლოიალური დამოკიდებულობის.

ასეთია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. და როცა ამ მდგომარეობას ჯერ კარგად ვერ იცნობს ინგლისი, ხოლო ამ პირობებს ანგარიშს არ უწევს ბიჩერახოვი და საქართველოს წინააღმდეგაც მისი ძახილი გვესმის, ჩვენ განვიცდით ჩვენი ქვეყნის სიმართლეს, ჩვენ ვხედავთ უსამართლობას და ხალხს ვეუბნებით:—მოიკრიბეთ მთელი ძალა და დაიცავით სამართლიანი ჩვენი უფლებები. ამას ვსწერდით „სახალხო საქმეში“. ჩვენი ამოძახილი ჩვენ გვგონია არა ზერელე აზროვნების ნაყოფად, ის მიგვაჩნია ერთად ერთ სწორ ხმად, რომელიც კი შეუძლია ამოიღოს ადამიანმა

თუ მას არ დავიწყებია სამშობლო, ზნეობა, სამართალი და იმდენად არ გაყინულა, რომ განცდილ პირობების შემდეგ ხალისი ქონდეს ბრძოლაში წასვლისა.

ჩვენი ამოძახილი ერთად ერთი სწორი და თანამედროვე ამოძახილია. მაგრამ ხაჩატუროვის ყოფილ გაზეთში დუბროვსკის უკვირს ეს ამოძახილი და ის სარკაზმში შერეულ აზრს მოგვაწვდის: მოქალაქენო, გახსოვდეთ, რომ ბიჩერახოვთან სდგას ინგლისი, გამარჯვებული ინგლისი, რომელიც მსოფლიოს ბედს სჭრის და რევოლიუციის უტოპიებსაც ასწორებსო. აქედან დუბროვსკის გაზეთის მორალი აშკარაა: პაწია საქართველოს მართებს პარტიულ ყიჟინას თავი გაანებოს, ვით უძლურმა ერთეულმა ლერწამივით წელი მოიხაროს და წყნარ ბალახად გარდაიქცეს ბიჩერახოვის წინაშე.

ბ-ნო დუბროვსკი! თქვენი ცივი გონებით ჩვენ ვერ ჩაუკლავთ ვერავის სამშობლოს სიყვარულის გრძობას და არც იმ თავდადებას, რომლის ღირსი არის საქართველოს რესპუბლიკა. ერთ წუთსაც არ ვივიწყებთ, რომ საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ ძალასთან, რთულს პირობებში, მაგრამ ქართველ დემოკრატიას და მთელს ჩვენს ქვეყანაზე ცხოვრებით არ არის განებივრებული და მუდამ დიდ მოწინააღმდეგესა და მძიმე პირობებთან გვქონდა საქმე. ძველი რუსეთის ასი ათასიანი ჯარებიც უხვად გვითხრიდა სამარეს, მაგრამ ჩვენ ვარჩიეთ სამარე გავსჭედოთ ჩვენი ძვლებით, ჩვენი ხორცით და სისხლით ოღონდ დავიცვათ თავისუფლება და ეროვნება.

ბ-ნო დუბროვსკი! საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი ერთ წუთსაც ვერ მიბაძავენ ადერბეიჯანელებს და თავის ტერიტორიის არც ერთს ადლს, არც ერთს უფლებას უბრძოლველად არ დასთმობენ. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ჩვენი პოზიცია, მაგრამ განა კაცობრიობას არ ესმის რას ხიშნავს ერის სიყვარული და მისთვის ბრძოლა? განა პაწია ბურების ბრძოლა ვეებერთელა ბრიტანელთან დღეს საძაგალითოდ არ მიგვაჩნია ყველასათვის? განა პოლონეთის ხალხი ვინმემ იმიტომ დაჰგმო, რომ ის უსწორო ომს აწარმოებდა რუსეთთან? ჩვენ მაინც იმ ამოძახილით ვიარსებებთ ყოველთვის თუნდაც მუდამ წინ გვიდგეს სილუეტი ირლანდიის დრამისა, ჩეხელების ბრძოლისა, სომხების ტრაგედიისა, პოლონელების ბედისა.

ეროვნული თავისუფლება ყველაზე სანუკვარი და ძვირფასი საგანძურია მოქალაქეთათვის. ასეთ უფლებისათვის გარიბალდები და მაძინები მთებში კრებდნენ ერის ძალებს და ბუმბერაზ მტრებს უწევდნენ გაშმაგულ ბრძოლას. თუ საქართველოს მომავალი მთები და სარდაფებში მოემწყვდება, ჩვენ იმის ენერგია გვექნება, რომ უსამართლობის დამცველ მტერს ვებრძოლოთ სისტემატიურად, მუდამ და ყოველთვის ვთხაროთ სამარე ხან ჩვენთვის, ხან მტრისთვის, ვიდრე არ მივაღწევთ ეროვნულ და ხალხურ წყობილებას. თუ ასეთი მდგომარეობის შექმნა საჭირო იქნება ვისთვისმე, თუ ჰსურთ სეპარატიულად ომი აწარმოეს პაწია ქვეყნებთან—ამას ვნახავთ, მაგრამ — ბ ნო დუბროვსკი— თქვენს რჩევას რომ ლერწამივით მოვიგრიხოთ ტლანქი ძალის წინაშე ღირსეულ მოქალაქის ღირსეულ უარს ვეტყვით და კალმის ენის მაგიერ მოვაართავთ სხვა ენას საქართველოს და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის. დეე ეს ენა იყოს ჩვენთვის სამარე, მაგრამ ამ სამარეში ჩვენი სული უფრო მოისვენებს ვიდრე ბიჩერახოვის კლანჭებში...

თედო ღლონტი.

აგრარული კანონ-პროექტი

2

დღეს ჩვენ ისტორიულ ხაზ-წერტილზე ვდგევართ, რომლის იქეთ იწყება დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა. მაისის 26-ს ჩვენ აღვიარეთ—დღეიდან საქართველოს ხალხი არის სუვერენობის მატარებელი; და ამ სუვერენობის განმტკიცებას შეუდგა ჩვენი მთავრობა და კერძოდ სოციალ-დემოკრატია. დღეს ჩვენ შემოქმედების ხანაში ვართ და ანალიზებს ნაკლები დრო უნდა დავუთმოთ—მეტი ვიმოქმედოთ და ვაკეთოთ, თუ არ გვინდა დამოუკიდებლობა უბრალო სიტყვად ვაქციოთ. მომავალში მემატიანე მიუდგომლად აღნიშნავს წარსულის ყველა შეცდომას და ობიექტიურად შეაფასებს მას.

მაგრამ თუ სოციალ-დემოკრატია კვალად ამჟღავნებს ტენდენციას ძველ შეცდომათაკენ გადახრისა, თუ იგი წარსულის ტრადიციებთან რადიკალურად არ გასწყვეტს, ჩვენი ვალია მთელის ენერგიით შევებრძოლოთ ამ მცდარ ნაბიჯებს და საქართველო, მისი მშრომელი ხალხი ახალ ხიფათისაგან დავიხსნათ. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე და ახალი კანონ-პროექტი ამ მცდარ შეხედულებაზე. დღეს უკვე გაცვეთილ პრინციპებზეა აგებული. ევროპის სოციალ დემოკრატიამ მრავალ მხრივ შეიმუშავა საკითხი და მრავალი აქედან დღეს უკვე სადავო აღარ არის.

მე ვლაპარაკობ მათ შეხედულებაზე გლეხობის შესახებ. ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები დღესაც ვერ განთავისუფლებულან კომუნისტურ მანიფესტის მოჯადოებულ წრიდან. მათთვის ისევ დოგმატად ქცეულა ყოველი სიტყვა მარქს ენგელსის მოღვაწეობის პირველ ნახევრისა და სრულიად შეუმჩნევლად სტოვებენ იმ რევიზიას, რომელიც თვითონ მარქსმა და განსაკუთრებით ენგელსმა დაიწყეს და რომელსაც მოჰყვა ფრიად მდიდარი და წმინდა მეცნიერული ხასიათის გამოკვლევანი.

ორი შეცდომა, რომელიც იყო დაშვებული თავიდან გლეხობის შესახებ, დღესაც სავსებით მეორდება და ამ შეცდომების შეუმჩნევლად სწყდება ახალი ურთი-ერთობა მიწადმფლობელობისა ჩვენში.

პირველი არის მთელი გლეხობის ერთ ჯგუფში მოქცევა; მიუხედავად იმისა მსხვილი მესაკუთრეა იგი თუ წვრილი, ექსპლოატატორია, თუ მსხვერპლი ამ ექსპლოატაციისა, იგი მაინც როგორც მესაკუთრე, ბურჟუად ითვლება და უპირისპირდება მუშათა კლასს. მესაკუთრის ფსიხიკა არის მთავარი ღერძი გლეხობაში და ამ ფსიხიკის გარდალახვა, ვიდრე იგი მესაკუთრეა, ვერავითარ ძალას ვერ შეუძლიან.

მეორე—გლეხი თავის ბუნებით რეაქციონერი და კონსერვატორია, იგი მტერია ყოველგვარ რევოლიუციისა, რომელსაც ეკონომიური სარჩულიც თანა ზდევს და აქედან იგი მტერია პოლიტიკურ რევოლიუციისაცაო.

ამ ილიუზიებისაგან, რომელსაც მარქს-ენგელსი ამყარებდნენ კაპიტალიზმის იმანენტურ ძალაზე, მის ტიტანურ განვითარებაზე და პროლეტარიატის არმიის საოცარ ზრდაზე დღესაც ვერ განთავისუფლებულან ჩვენი სოციალ-დემოკრატები და მათ მოძღვართა შეხანიებანი სრულიად დაჩრდილულია ს.-დემოკრატებისათვის.

მთელი სკოლა ახალგაზრდა მარქსისტთა ფოლმარის მეთაურობით და რევიზიონისტებისა არაფერს ეუბნება საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მაშინაც კი, როცა აგრარული რეფორმის პრაქტიკულ მხარის წინ ვდგევართ. მათ თითქოს სწადიათ მესაკუთრის ინსტინქტზე დაეყრდნონ მარტო და მის ინერტულ ძალად აქციონ მთელი პარტია და საქართველოც.

მათ ერთის წუთითაც კი არ შეუძლიანთ წარმოიდგინონ, რომ გლეხები შეიძლება იქცნენ როგორც რევოლიუციის, ისე რეაქციის ძალად და მასალად—რომ „ჩვენ არ უნდა მივდიოთ ბრმა ისტორიულ პროცესს სრულიად ინერტულად და მარტო არსებულ ფაქტის უფრო თვალსაჩინო მხარეზე ავებენ პრაქტიკულ საქმიანობას, ისე კი რომ არავითარ გამოსავალს აქედან მომავლისათვის არ იტოვებენ. ეხლავ ჰსურთ მოიკვეთონ ყველა დანარჩენი გზები.

რა თქმა უნდა, სადავოა თვითონ გლეხობის აზრი ამ საკითხზე და, ცხადია, ხელოვნურად შეკრებილ სამიწადმოქმედო კომიტეტების აზრი, როცა მას წინასწარ აძლევს სოც.-დემ. „განსაკუთრებულ დირექტივებს, არ შეიძლება ჭეშმარიტებად ჩავთვალოთ. აქი ამავე გლეხობამ უფრო ადრე სხვა ხასიათის სურვილი გამოხატა და საკუთრების პრინციპი უარჰყო, თუნდაც იმავ მუნიციპალიზაციის მიღებით.

მაგრამ დავეთანხმოთ ერთის წუთით ჩვენ სოც. დემ. რომ თვითონ გლეხობაში დღეს გამჯდარია მესაკუთრის ინსტიქტი, რომ იგი შეუგნებლად ამ ინსტიტუტისაკენ იხრება, მაშინ, როდესაც საქართველოს წვრილი მიწათმფლობელობა, მისი მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოითხოვს ამ მეურნეობის კოოპერატიულ ნიადაგზე მოწყობას, რომ მაშასადამე, მიუხედავად ჩვენი გლეხობის პირდაპირ ეკონომიურ-კულტურულ ინტერესებისა, ტრადიციები მას არა საწადელ მხარისაკენ იტაცებენ. მერე ეს რას გვასწავლის? განა ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ხალხის პირდაპირი ინტერესები, მომავალი და მარტო ამ ველურ ტრადიციებზე ავაგოთ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობა და ეკონომიური პროგრამა?

არ არის ყოველგან და ყოველ დროს ერთნაირი. და თუ ჩვენ მას შევუქმნით ხელოვნურად ახალ პირობებს, თუ ჩვენ მის ბნელ ინსტინქტს დავემყარებით და მარტო მის გაღრმავებაზე ვიფიქრებთ, რა თქმა, უნდა იგი შეიძლება გახდეს რეაქციონერ კლასად.

მაგრამ ჩვენს წინ იშლება მრავალი მაგალითი ევროპის ცხოვრებიდან და ეს მაგალითები სულ სხვა რამეს გვასწავლიან, საქართველოს მიწათ-მფლობელობა თავისი სიმცირით და ბუნებით პირდაპირ ამ მაგალითებისაკენ მოგვიწოდებს. განა ჩვენში მოიპოება იმდენი მიწები, რომ შეიძლებოდეს მათი სამართლიანი დანაწილებით აგრარულ საკითხის გადაწყვეტა? ამნაირი გადაწყვეტა საკითხის დროებითი მიფუჩეჩება იქნებოდა და ცოტა ხნის შემდეგომ ჩვენში ისევ მიწების სიმცირე მძიმე, აუტანელ ტვირთად დააწვებოდა გლეხკაცობას. ხალხი იზრდება, მიწის რენტა პერიოდიულად იწევს და საკითხი უფრო მეტის სიმწვავით დგება ჩვენს წინაშე. აშკარაა, ასეთი პრიმიტიული გადაჭრა—მიწების საკუთრებად დანაწილება—საკითხს ვერას შველის და ჩვენს სოც. დემ., ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ მოუხდებათ ხელახალ რევიზიას შეუდგნენ და მთელის სიღრმით დააყენოს ეგ საკითხი.

აქედან ცხადია, რეფორმა ამ სახით ვერ დაგვაკმაყოფილებს. საჭიროა, მეტი სიფხიზლე და მთელი სირთულის გათვალისწინება. ერთად ერთი ხსნა მარტო ჩვენი მეურნეობის წარმატებაშია და საქართველოს მიწის ბუნება, ჰავა, გეოგრაფიული სხვა და სხვაობა, მზის დაუშრეტელი ენერგია ყველა ეს დიდ საშუალებას იძლევა ჩვენი მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის. ხოლო უკანასკნელი შეუძლებელია მოეწყოს, ვიდრე ჩვენში ასეთი პარცელარული მეურნეობაა, ვიდრე თავს არ იჩენს ამხანაგობა, გლეხთა ასოციაცია, ვიდრე კოოპერატიულ ნიადაგზე არ მოეწყობა საქართველოს მეურნეობა. ამას ადასტურებს არა მარტო თეორეტიული მხარეები და პრეზუმპციები, არამედ პრაქტიკულ-ისტორიული მხარენი საკითხისა. თვალი გადაავლეთ დანიის და ბელგიის მეურნეობას. საცა ჩვენზე უფრო მეტი სიმცირეა მიწისა და საცა გლეხობამ შესძლო ეკონომიურ-კულტურული წარმატება მხოლოდ კოოპერაციის გზით. ამ ქვეყნებში მეურნეობა დიდის სისწრაფით მიექანება წარმატებისაკენ და მრავალ ახალ შესაძლოებას უმზადებს ამ ხალხის მომავალს.

მაგრამ ასეთი კოოპერატიული მეურნეობის მოწყობა შესაძლებელია მარტო იქ განვითარდეს, საცა მესაკუთრის ტრადიცია და ინსტინქტი ყველაფერს არა სწყვეტს და საცა, წინააღმდეგ, ასეთი ინსტინქტები არსებითად შერყეულია.

საცა მიწათ-მფლობელობის ფასეულობა ბურჟუაზიულ ფსიხიკით კი არ ამოიწურება, არამედ მისი რეალური შედეგებით.

და სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატის უბრალო წარმატება მაინც დაუსახავს მიზნად, ვალდებულია ამ მესაკუთრის ფსიხიკას, რეაქციონურ ნაშთს ებრძოლოს და არა აღრმავოს და განამტკიცოს იგი, მით უმეტეს რევოლიუციის დროს, როგორც ამას სჩადის ახლად გამომზეურებული აგრარული პროგრამა სოც.-დემოკრატებისა.

აკ. პ—ვა.

ნარკვევი

კადეტების გაზეთი „რეჩი“ ესარჩლება... ბოლშევიკებს. ძალიან გულუბრყვილო ხალხი ვართ და გულკეთილი, რომ ყოველ „ჩამოსულს“ (ამ ფსევდონიმით არის წერილი დაბეჭდილი) შეუძლიან ოჯახში შემოიჭრას და ერთი დავიდარაბა აგვიტეხოს. ავტორი ეხება „ეს-ერების“ მიერ შეტანილ შეკითხვას და უსაყვედურებს იუსტიციის მინისტრს შ. მესხიშვილს, რომ იგი სასამართლოს გარეშე დაპატიმრებას იცავს და „საწყალი“ ბოლშევიკები ამით იჩაგრებიან, შიმშილობა გამოუცხადებიათ.

რა ცინიზმია—კადეტები და ბოლშევიკები! ერთი ვკითხოთ ამ ვაჟბატონს, მათს ეკატერინოდარში არავის აპატიმრებენ? განა მათი ჯარისკაცები არ იყვნენ მაიკოპში, რომ „წესიერების აღდგენის“ შემდეგ მკვდრებზე ისხდნენ და „გარმონს“ უკრავდნენ? მაგრამ ეს ბრძენი პოლიტიკოსები მოხერხებულად მსჯელობენ: ბოლშევიკი ცუდია და მოსაკლავი, როცა იგი რუსეთს ანგრევს, ხოლო კარგი და აბრამის ბატკანია, როცა საქართველოს ზურგში მახვილს სცემს და ამით კადეტების სანუკვარს საქმეს აკეთებს.

თავისთავად, რასაკვირველია, სასამართლოს გარეშე დაპატიმრებანი ანორმალური მოვლენაა და იგი ბოლოს და ბოლოს მოისპობა. მაგრამ დღეს იგი უაღრესად საჭიროა და საჭირო იქნება იქამდე, ვიდრე საბოლოვოდ არ მოგვიშორებია „ჩამოსულების“ საფრთხე, საჭიროა მათი დამღუპველი ენის და მოქმედების ასალაგმავად. ეს რატომ არ იცის საქართველოში ბოლშევიკებზე უფრო მემარცხენე კადეტების ორგანომ?..

სახელმწიფოებრივობას და უფლებრივობას იცავს „რეჩი“. ეს მაშინ, როცა იგი არც ჩვენს სახელმწიფოს სცნობს პრინციპიალურად და არც უფლებრიობას... ცინიზმია!

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: გაუხსნას სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბს 1500,000 მანეთის კრედიტი მის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

—

მოწონებულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი ქალაქების საარჩევნო კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებისათვის შემუშავებულ ნორმების მიხედვით და ამ სახით გადაეცეს პარლამენტს. ამის მიხედვით ტფილისში არსებულ უნდა იქმნეს 90 ხმოსანი.

—

გადაიდვას შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 30,000 მანეთი ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროს შესანახად.

—

სამედიკო და სასანიტარო ნივთები მომარიგების კომიტეტმა პირველ მოთხოვნილებისამებრ უნდა მიაწოდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობებისათვის დასარიგებლად და აღნიშნული ნივთები შეიტანოს ერობის კრედიტში.

—

შინაგან საქმეთა მინისტრს 500,000 მანეთის კრედიტი გაეხსნას ერობათათვის სუბსიდიის სახით დასახმარებლად.

—

განათლების მინისტრს გაეხსნას 100,000 მანეთის კრედიტი ოლქის სახალხო სკოლათა შესანახ ხარჯებისათვის.

—

საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ნაფიცი ვექილი ივ. ჯაფარიძე.

—

მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს, შესაფერ ზომების მიიღება თერგის ოლქის ქართველთა ინტერესების დასაცავად.

—

სახელმწიფო ღერბის შესახებ წარმოდგენილ პროექტთა შორის მოწონებულ იქმნას პროექტი დევიზით: „წინ“.

ეს პროექტი უნდა შესწორდეს: და დაცულ უნდა იქმნეს: სიმეტრია. ცხენის ფეხები ცოტათ უფრო მომსხო უნდა აქმნეს, თვით ცხენის ფერი კი სრულიად თეთრი უნდა დარჩეს, მნათობი შვიდი უნდა იქმნეს. ამავე ავტორის ნიმუშები შტანდარტისა და სამხედრო დროშისათვის, სავსებით მოწონებულ იქმნას.

ყველა ეს ეცნობოს ავტორს, რომელიც კონვერტის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა ოსიპ შარლემანი.

რევოლიუცია გერმანიაში

საბჭოების რეზოლიუცია.

გერმანული პრესა 24 ნოემბერი...... მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: რევოლიუციამ შექმნა ახალი საკონსტიტუციო კანონები. ამ გარდამავალ ხანაში ახალი კანონდებლობა გამოიხატა შემდეგ შეთანხმებაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის: 1) პოლიტიკური ძალა-უფლება გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელშია. მათი მიზანია დაიცვან რევოლიუცია, და გააღრმაონ იმდენად, რომ კონტრ-რევოლიუცია შესაძლებელი არ იყოს. 2) ვიდრე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ყრილობა არ აირჩევს რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ კომიტეტს, ბერლინის აღმასრულებელი კომიტეტი ასრულებს გერმანიის რესპუბლიკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ფუნქციებს, ბერლინის და ახლო მახლო არსებულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან სრული შეთანხმებით. 3) სახალხო კომისართა საბჭოების ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მიერ დამტკიცება ნიშნავს რესპუბლიკის აღმასრულებელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. 4) რესპუბლიკის კაბინეთის წევრთა დამტკიცება, გაძევება და ნაციონალურ დამოკიდებულებათა მოწესრიგება უნდა მოახდინოს ცენტ. აღმ. საბჭომ, რომელსაც აგრეთვე კანტროლის უფლება აქვს. 5) საბჭოს აზრს უნდა გაუწიონ ანგარიში სპეციალურ მინისტრების დანიშვნის დროს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატთა ნაციონალური კრება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

ზავის გარშემო

ელზას-ლორენში.

ლიონი, 24 ნოემბერი, ელზას-ლორენის სრული ოკუპაცია თავდება.

ჩვენი ჯარი გუშინ დაბანაკდა სარის ველზე, სახელდობრ: საბრუკში, სარლუიში და აღმოსავლეთით: ვერტში, ფროშვალერში, რეისჰოფენში და ბიშვეილერში.

გერმანიის ჯარი.

ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ჰინდენბურგის დეპეშა, რომ გერმანიის ჯარს არ შეუძლია განაახლოს ომი საფრანგეთის ჯართან.

პროტესტი.

დ-რ სოლფმა გამოაქვეყნა პროტესტი სარის მარჯვენა ნაპირის დაჭერის გამო.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი. ნოემბ. 2. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სტოკჰოლმი. ნოემბრის 23. ბუდაპეშტში შევიდა 11100 ფრანგი ჯარისკაცი. ინსბურგი იტალიელებმა დაიჭირა. რუმინიის ნაციონალურმა საბჭომ მოკავშირე სახელმწიფოებს და ჩიჩერინს პროტესტით მიმართა სერბიის ჯარის ბანატში შესვლის, ამ ადგილის ძალით შემოერთების და რუმინიის სოფლის სერბიის ერთგულებაზე ძალით დაფიცების გამო. საბჭო ითხოვს გავლენა იქონიონ სერბიის მთავრობაზე, რომ მან უარი სთქვას ამ ადგილის მითვისებაზე და მისცეს საშუალება რუმინიის მცხოვრებთ თავისი ბედი თითონ გადასწყვიტონ. ნაუენი. ნოემბ. 24. ბერლინის საბჭოს აღმ. კომ. აცხადებს, რომ საფრანგეთის მილიტარისტები დროებითი პირობებს უყურებენ როგორც ომის გაგრძობის საშუალების. გერმანიის მთავრობა ამის გამო იძულებული იქნება უბრძანოს ჯარს მოერიდოს საფრანგეთის ჯართან შეტაკებას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოკავშირეთა ჯარი სროლას დაუწყებს გერმანელებს. საფრანგეთის გენერლები ათასგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ნაკლი მოუძებნონ გერმანელებს ტერიტორიის დაცლის საქმეში. მოითხოვენ სამხედრო მასალის და ორთქლმავლების და ვაგონების გადაცემას. გერმანიის მთავრობამ ან უნდა გადასცეს მათ ყველაფერი ის, რასაც მოითხოვენ, და ამით კატასტროფის და სიმშილის წინ დააყენოს გერმანიის ხალხი, ან და დროებით გადასდვას ამ მოთხოვნილებათა სისრულეში მოყვანა და ამით გერმანიის ხალხს შეუმსუბუქოს მდგომარეობა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ნოტით მიმართა მოკავშირეთ: „გერმანიის ხალხმა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მიერ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობილმა სთხოვა ვილსონს შუამდგომლობა დროებითი ზავის ჩამოგდების დროს. მაგრამ დროებითი ზავის მაგიერ, ჩვენ განადგურებით დაგვემუქრენ. ვეჭვობთ, რომ დროებითი ზავის პირობებმა ზავამდე მიგვიყვანოს. ის გვაიძულებს გავაგრძოთ ომი სხვა საშუალებით. იმის მაგიერ, რომ აღვადგინოთ გერმანიაში წესიერება და სიმშვიდე და მოვახდინოთ დემობილიზაცია, დროებითი ზავის პირობები გამოიწვევს ანარქიას და ქაოსს.

მოსკოვი. ნოემ. 24. ჩვენ პროტესტებს ყურადღებას არ აქცევენ თუ დროებით ზავის პირობებით სურთ დააუძლუროს გერმანია, რომ მას არ

შეეძლოს ომის გაგრძელება მოკავშირენი უნდა მიხვდნენ, რომ გერმანიის ხალხს სრულიადაც არ სურს და არც შეუძლიან ომის გაგრძელება. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ მოკავშირენი ხელმძღვანელობენ გერმანიის ხალხის განადგურების სურვილით. დროებითი ზავის ჩამოგდებისთანავე გერმანიის მთავრობამ ვილსონს მიმართა თხოვნით რაც შეიძლება მალე დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, მაგრამ გერმანიის მთავრობას არ მიუღია. გერმანიის ხალხს დარჩენია იფიქროს, რომ მოკავშირენი ეძებენ მიზეზს განაგრძონ ომი, როცა დაქანცულ გერმანელ ჯარისკაცთაგან შეუძლებელ პირობის ასრულებას მოითხოვენ. ვილსონი ამბობს, ზავი უნდა იყოს დამყარებული უფლებაზე ამიტომ სამშვიდობო კონფერენციამდე არ შეიძლება სადავო კითხვების გადაწყვეტა, მაგრამ გერმანიის მთავრობა აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ფრანგები ელზას-ლოტრენში და პოლონელები აღმოსავლეთში დამოუკიდებლად სწყვეტენ ყველა რთულ საკითხებს. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს საზავო მოლაპარაკების დაგვიანების გამო. დროებით შეიძლება ძალა იხმარონ გერმანიის ხალხზე, მაგრამ ის მაინც არ შესწყვეტს არსებობას და თავისუფლების დაცვას. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს დროებითი ზავის პირობების დარღვევის გამო, რომ მოკავშირეთა ჯარი 10 კილომ. უფრო ახლო მისდევს გერმანიის ჯარს და მოითხოვს გაანთავისუფლონ გერმანიის ჯარის დაკავებული ნაწილები.

ბერლინი. ნოემ. 23. გერმანიის მთავრობა სთხოვს გადასცეს გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს მოსკოვსა და პეტროგრადში, რომ ამ საბჭოებს იცნობენ მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვევა თუ რა პირობებში შეადგინეს მათ საბჭო და რა დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ და გერმანიის მთავრობასთან. ამიტომ სთხოვს რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ ბერლინში თითო დელეგატი ამ საკითხის გადასაწყვეტად. ბერლინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმუშავებს გერმანიის სოციალისტურ ჯარის შექმნის პლანს, ძველი კოკარდის მაგიერ შემოღებულ იქნება წითელი კოკარდა, როგორც სოციალისტურ რესპუბლიკის ნიშანი; ჩინი და ორდენი გაუქმებული იქნება, იარაღი უნდა იტარებოდეს მხოლოდ მოვალეობის ასრულების დროს. კილის საბჭო მოითხოვს მთელი პოლიტიკური ძალა-უფლების საბჭოებზე გადაცემას და მსხვილ საწარმოვო დაწესებულებათა, ბანკების და მსხვილ მამულების ნაციონალიზაციას. დრეზდენის კომუნისტებმა მოუწოდა ხალხს მოახდინონ ახალი რევოლიუცია. დრეზდენის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აცხადებენ, რომ დამფუძნებელი კრება არის ავანტიურა, რომელსაც შეუძლია დაღუპოს სოციალისტური რევოლიუცია.

მოსკოვი. ნოემბ. 24. (გაგრძელება). ოფიციციალურად იუწყებიან, რომ ბერლინის საბჭოს აღმ. კომიტეტში, იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც რესპუბლიკას შეეხება, შევა რეიხსტაგის წევრები. სტოკჰოლმი. ნოემბ. 23. ინგლისის მთავრობა ადგენს პროტესტს საზღვრების დაკეტის შესახებ ყველა უცხოელისთვის. გერმანელებს სრულიად არ ექნება ინგლისში შესვლის უფლება. შეთანხმების პარტიის 8 წევრმა, რომელიც თავის თავს ინგლისის პარლამენტში მუშების წარმომადგენლად სთვლიან, განაცხადეს, რომ ისინი პარლამენტში რჩებიან. ადმირალმა ბიტტიმ უარი განაცხადა საბჭოთა გერმანიის წარმომადგენელთან მოლაპარაკებაზე, რადგან არ ცნობს მათ მთავრობას.

ახალი ამბავი

◆ როგორც გადმოგვცემენ „ბაშოში გენერალ ტომსონს ბიჩერახოვის რაზმისათვის იარაღი აუყრია.

◆ **კრება.** კვირას დეკემბრის 1 ს შესდგება მეორედ ექიმის თანაშემწეთა კავშირის კრება სადაც განსახილველია: 1) საზოგადოების გაეროვნება, 2) მიმავალი დელეგატთა ყრილობა, 3) ჟურნალი „ექიმის თანაშემწე“; 4) მიმდინარე საკითხები და სხ. ამ კრებას რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონიერად ჩაითვლება.

◆ **სატელეგრაფო დამოკიდებულება ადერბეიჯანთან და სომხეთთან.** ადერბეიჯანსა და სომხეთთან ტელეგრაფის კავშირის აღდგენის გამო დაწესდა მიღება და გადაცემა დანიშნულებისამებრ ამ რესპუბლიკაში მიმართულ დეპეშებისა შინაგან კორესპონდენციაზე დადებული ნიხრის გადახდევინებით. დეპეშები უნდა იქნენ დაწერილი რუსული ანუ ლათინური ასოებით.

◆ **ლტოლვილნი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ლტოლვილთა საქმეებზე ა. ს. ლორთქიფანიძე აუწყებს ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთა საყურადღებოდ, რომ ოსმალთა მთავრობის განკარგულებით თანახმად სამინისტროში მოსულ ცნობისა ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთ არ ეკრძალებათ დაბრუნება. მსურველთ ყოველგვარ საქმეზე უნდა მიმართონ რწმუნებულს ტფილისში, კოჩუბეის ქ., № 13, ტელეფ. 16-80 დილის 11—2 ს და საღამოობით 4—5 საათამდე.

◆ **ფქვილი ბოდბის მონასტრის სკოლას.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სიღნაღის ბოდბის ქალთა მონასტრის სკოლას თავის საჭიროებისათვის დაეთმო 600 ფუთი ფქვილი სასურსათო სამინისტროს საწყობიდან იმ ფასად რა ფასშიაც თითონ აქვს შეძენილი.

◆ **სათესლე ხორბალი.** პასუხათ მიმართვისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სასურსათო საბჭომ აცნობა, რომ ოზურგეთის სამაზრო ერობის საჭიროებისათვის სათესლე ხორბლის დასამზადებლად მიღებულია საჭირო ზომები.

◆ **ფარმაცევტთა კრება.** კვირას, დეკემბრის 1-ლს დილის 12 საათზე მედიკურ საზოგადოების შენობაში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა.

◆ **გაზეთ „ერთობას“** ნოემბრის 26-დან უკვე „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ წარწერა აქვს.

◆ **„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.** რედაქციას მოუვიდა ი. იმედაშვილის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, წიგნი შეიცავს 1100 გვერდს, დაბეჭდილია მჭიდროდ და მშვენიერ ყდით ჰღირს 30 მანეთად.

◆ **„თეატრი და ცხოვრება“.** რედაქციამ მიიღო „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი № 15. ჟურნალში მოთავსებულია მრავალი სურათი, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ჰღირს 2 მ.

◆ **უკრაინულ-კავკასიური ამხანაგობა.** ამ დღეებში მოხდა არჩევნები ტფილისში დაარსებულ უკრაინულ-კავკასიურ სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების გამგეობისა.

გამგეობაში აირჩიეს ნ. ლ. კოვალევსკი, (დირექტორად) ძიძიშვილი (დირექტორის მოადგილედ), ა. გავისტი, ნ. სუმცოვი, ზოლოტარიოვი, დუბროვისა და გორდინსკი. ამ ამხანაგობის მიზანია, სავაჭრო, სამრეწველო და კოოპერატიული დამოკიდებულება იქონიოს უკრაინასა და კავკასიის ერთა შორის.

◆ **ნივთიერად დახმარებისათვის.** მთავრობის დადგენილებით, ნოემბრის 21 თათბირი ჰქონდათ ფინანსთა მინისტრს, სახელმწიფო კონტროლიორს და შრომის მინისტრის ამხანაგს სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეთა მატერიალური გაუმჯობესების შესახებ. კრებამ მოიწონა სამინისტროების კანცელარიათა დირექტორების დადგენილება, რომელიც შემდეგს შეიცავს: 1) მიღებულ იქმნეს ზომები, რათა ახლო მომავალში გათანაბრებული იქმნენ ყველა უწყების შტატები. 2) გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს სურსათის ხელმისაწდომ ფასებში მისაცემად. უკანასკნელი ზომების ცხოვრებაში გასატარებლად ნოემბრის 22-ს გაიმართა თათბირი სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, ყველა ზემოაღნიშნულ სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ **თავდასხმა.** ნოემბრის 25-ს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ვაჭარ ჩილინგაროვის სახლში შეიჭრა 4 შეიარაღებული პირი და სახლის გაძარცვა მოინდომეს, მაგრამ ჩილინგაროვის ცოლმა ხმაურობა ასტეხა, რის გამოც მიეშველნენ მილიციონერები და სროლა ასტეხეს. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

◆ **ელექტრონის ენერგიის ფასის მომატება.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ელექტრონის ენერგიის ფასის მომატება.

◆ **ქალაქის არჩევნები.** ნოემბრის 25 ს ქალაქის საბჭომ განიხილა ტფილისის საქალაქო არჩევნების საკითხი. ქალაქი უნდა გაიყოს 51 საარჩევნო უბნად. საარჩევნო სიები დაიბეჭდება სამ ენაზე.—ქართულად, რუსულად და სომხურად. არჩეულთა ვადად მიღებულ იქმნა 2 წელიწადი. არჩევნების მოსაწყობად დაიხარჯება 300,000 მანეთი. ამ თანხის ნახევარს ქალაქის გამგეობა გაიღებს ხოლო დადგენილია ნახევარის გადახდა მთავრობას დაევალოს, რადგან შემდგარი სიები დამფუძნებელ კრებისათვისაც გამოდგება.

◆ **ლექციები.** დღეს, ნოემბრის 27-ს საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) სერ. ჟორჟოლიანი „საქართველოს ლიტერატურის ისტორია“. 2) ილ. ნაკაშიძე „დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. 3) დ. დეკანოზიშვილი „ასტრონომია“.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 25-ს გოლოვინის პროსპექტზე გ. ოჩიგავას ბინიდან ქურდებმა მოიპარეს 8000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◆ **ნიხრი ნავთზე.** ქალაქის თვითმართველობამ ნავთზე ნიხრი დაწესა, რომლის მიხედვითაც კერძო პირებმა ნავთი გირვანქა სამ მანეთად უნდა გაჰყიდონ.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ბაკურიანის სომეხ ლტოლვილთა დასახმარებლად 100,000 მანეთი გადასდო.

◆ **მატარებელთა მოხსნა.** საქართველოს რკინის გზათა სამმართველომ გზათა სამინისტროს აცნობა, რომ სათბობი მასალის სიმცირის გამო შორაპანსა და საჩხერეს შუა დროებით მოიხსნა დამატებითი მატარებლები № 57 და 58 ამის მიხედვით შორაპნიდან მატარებელი № 4 გავა 14 საათსა და 40 წუთზე ხოლო საჩხერიდან № 3 გავა 4 საათსა და 2 წუთზე.

◆ **ერობა.** საერობო საქმეთა მთავარ-ინსტრუქტორს დუშეთის საერობო არჩევნების ხელმძღვანელიატყობინებს, რომ დუშეთის მაზრაში უკვე დასრულებულია არჩევნები. თიანეთის მაზრის საერობო არჩევნების ხელმძღვანელად დ. ჩხეიძე დაინიშნა, რომელიც უკვე გაემგზავრა თიანეთში.

◆ **განათლების მინისტრმა** მთავრობაში კანონ-პროექტი შეიტანა საშუალო სასწავლებელთა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვისა.

◆ **საქართველოდან გზავლის ნებართვა.** მილიციის უფროსმა საქართველოს ტერიტორიიდან გამსვლელთა საყურადღებოდ შემდეგი განკარგულება გამოსცა: საქართველოს სიზღვრებიდან წამსვლელთ უნდა მიჰმართონ ადგილობრივ კომისარს. თხოვნას 2 მანეთიანი მარკა უნდა დაეკრას. ადგილობრივი კომისარი გადასცემს გუბერნიის კომისარს, რომელისაგანაც მიეცემათ ტერიტორიიდან გასვლის ნებართვა.

◆ **ბრძანება.** გზათა მინისტრმა გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ ის მოსამსახურენი, რომელნიც შენიშნულ იქმნებიან. ქრთამის აღებაში, ან სახელმწიფო ქონების გაფლანგვა მითვისებაში, დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან და პასუხის გებაში მიიცემიან.

◆ **ბაჟი გაზეთის განცხადებაზე.** ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გაზეთებში დაბეჭდილ განცხადებებს ბაჟი დაადოს.

◆ **თხოვნა ბაქოდან ჩამოსულთ.** ჩემი ძმა ივანე (იონა) პავლეს ძე კილასონია რვა წელიწადია რაც ჯარშია და მსახურობს. ომის დაწყებიდან უმეტესი დრო მოწინავე პოზიციებზე გაატარა, როგორც საზღვრების დამცველმა. ხოლო უკანასკნელ ხანებში, ბაქოს ჯარისკაცთა თუ ერთეულის საბჭომ ქ ბაქოში დასტოვა და ირიცხებოდა 279 ქვეითა დამხმარე ერთეულში და იქან განაგებდა ჯარისკაცთათვის ტანისამოსის სამკერვალოს როგორც სპეც. და ხელოსანი. ამა წლის იანვრიდან კი მისგან არავითარი ცნობა მიმიღია, ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც გამოუცდია ჯარისკაცობა, მისი ჭირისუფლობა და განსაკუთრებით კი ბაქოდან ჩამოსულთ, გამაგებინონ, თუ რამე იციან მისი, შემდეგ მისამართით:

ქალ. ჭიათურა. მრეწველთა საბჭოს ბიბლიოთეკა. პლ. კილასონია, რისთვისაც უგულითადესი მადლიერი დავრჩები. პატივისცემით პლ. კილასონია.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხ. ალექს. წერეთლის მოხსენება ოთხშაბათს, ნოემბრის 27-ს პარტიულ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საზოგადო კრება. პარლამენტის წევრი ამხ. ალექს. წერეთელი წაიკითხავს მოხსენებას ინგლისსა და საქართველოს შესახებ.

—

ს. ფ. მოწაფეთა ტფ. კომიტეტის მორიგი კრება დანიშნულია ხუთშაბათს, ნოემბრის 28-ს საღამოს 5 საათზე პარტიულ ბიუროს დარბაზში.

—

კრება ნაძალადევში. პარასკევს, ნოემბრის 29-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია კრება ამ რაიონის სოც. ფედერალისტთა პარტიულ ბინაზე. მოხსენებას წაიკითხავს მთავარ კომიტეტის ერთ ერთი წევრთაგანი.

—

ტფილისის კომიტეტის მდივანი იღებს ამხანგებს პარტიულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად პარტიულ ბიუროს დარბაზში დილის 10—2-დე. საღამოს 5—7 საათამდე.

უცხოეთი

ებრაელების დარბევა.

უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში გალიციაში მოხდა ებრაელთა დარბევა. კრაკოვის გაზეთი „ნოვი და ენიკი“ იუწყება რომ დარბევა სხვა ადგილებშიც მოხდა. დახოცილთა რიცხვი დიდია. ებრაელთა სახლები და დუქნები გაძარცულია. ებრაელები ქალაქიდან გარბიან. ზოგიერთ ადგილებში დამცველი რაზმები შესდგა, მაგრამ მათ იარაღი აჰყარეს, გალიციის ებრაელები აღელვებულია. ვილსონს და ნეიტრალურ სახელმწიფოებს დეპეშა გაუგზავნეს. მოითხოვენ დახმარებას. ცნობაა რომ გერმანიის ჯარის მიერ დაჭერილ აღმოსავლეთ ოლქებში ემუქრება მოახლოვებული საფრთხე. ზოგიერთ ადგილებში კი, რაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები დაარსდა. ყველაფერი სიწყნარით ჩატარდა. ზოგიერთ ადგილებში თვით მცხოვრებნი მონაწილეობდნენ დუქნების მტვრევაში, თავდასხმაში, ტრანსპორტების დაკავებაში და რკინის გზის გაფუჭებაში.

არეულობა პოლონეთშიც იწყება.

გერმანელთა დელეგაციაში

ტომსონის დეპეშა.

გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი ცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბაქოდან ინგლისურ ჯარების სარდლისაგან გენ. ტომსონისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც იგი სთხოვს სამინისტროს, გააგებინოს გერმანულ ჯარების სარდალს, რომ მათ შეუძლიან მოიცადონ აქ დროებითი ზავის პირობების მოსვლამდე. ამ ცნობის გამო ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა პროფ. ცუგმაიერს, რომელმაც შემდეგი განაცხადა: იმ ფაქტიდან, რომ ინგლისელ ჯარის სარდალი მიმართავს საქართველოს საგარეო სამინისტროს, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ინგლისი სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა, რომელნიც მას არ იცნობდნენ, რომ წინასწარი თანხმობა არ ჰქონიათ შეთანხმების სახელმწიფოთაგან. რაც შეეხება ადერბეიჯანს, ინგლისელ ჯარების ხელმძღვანელის ყველა ბაქოში გადადგმული ნაბიჯები გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ისინი ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას არ სცნობენ.

ბაქოს საკითხი.

გენერალი ტომსონი თავის პროკლამაციაში აცხადებს, რომ შეთანხმების სახელმწიფოები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ რუსეთი აღადგინონ, ისე რომ მას ღირსეული საერთაშორისო მდგომარეობა მოუპოვონ. ამასთანავე გენერალი ტომსონი აცხადებს, რომ შეთანხმების სახელმწიფონი საკუთრივ რუსეთის ტერიტორიაზე არაფერს დაიუფლებენ, ხოლო ამ ტერიტორიას კი არ დასტოვებენ ვიდრე მათი მიზანი შესრულებულ არ იქნება.

იმ ფაქტიდან, რომ ეს პროკლამაცია გამოცემულია ბაქოში, გერმანული დელეგაცია ფიქრობს, რომ ინგლისს ბაქო რუსეთის უდაო ნაწილად მიაჩნია.

„ინგლისელები განჯაში“.

ტფილისში ხმებია გავრცელებული, თითქოს ინგლისის ჯარები უკვე განჯაში იმყოფებოდეს. გერმანულ დელეგაციას უტყუარი ცნობები აქვს, რომ ნოემბრის 23-ს საღამომდე, განჯაში არც ერთი ინგლისელი არ ყოფილა.

შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი ბოსფორში

გერმანულ დელეგაციის ცნობით ნოემბრის 21 ბოსფორში შეთანხმების სახელმწიფოთა არც ერთს გემს არ გაუვლია. მათს გემებს 24 მილიონი ს, სევასტოპოლში, მაგრამ მოვიდნენ თუ არა. დელეგაციას ცნობები არა აქვს.

საქართველოში მყოფ გერმანელ ჯარების ევაკუცია სამშობლოში

გერმანელები და შეთანხმების სახელმწიფონი შეთანხმდნენ, რომ საქართველოში მყოფი გერმანელი ჯარები სამშობლოში დაბრუნდნენ. ფოთში უკვე გამზადებულია გემი „ავკარტი“, რომელმაც უნდა წაიყვანოს ჯარების პირველი პარტია და როგორც კი ფოთიდან ეს გემი დაიძვრის, მეორე გემი დაუყოვნებლივ წამოვა შესახვედრად სევასტოპოლიდან. ჩვენი თანამშრომელის გერმანელ დელეგაციაში ყოფნის დროს დილის 11 ნახევარ ს. მოვიდა უკვე დეპეშა ფოთიდან გამოგზავნილი, იმავე დილის 11 საათზე, რომელიც იუწყება, რომ „ავკარტის“ ფოთიდან წასვლისათვის თანხმობა უკვე მოვიდა და გემი ნავთსადგურიდან დღეს, 26 ნოემბერს, დილით გავა.

შეთანხმების სახელმწიფონი და უკრაინა.

შეთანხმების სახელმწიფოთ გადუწყვეტიათ რაც შეიძლება ჩქარა გააგზავნონ თავიანთი ჯარები უკრაინაში.

რუსეთ-გერმანიის კონფლიქტი.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ უკვე გაანთავისუფლა გერმანიის ღენერალური კონსულები მოსკოვსა და პეტროგრადში და ამავე დროს განთავისუფლებულ იქმნა რუსეთის ელჩი იოფეც. ამასთანავე გერმანიის მთავრობამ აუწყა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რომ ამ ჟამად სასურველი არ არის რუსეთის წარმომადგენლის ყოფნა გერმანიაში.

(ს).

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტრო

ზუგდიდის სასამართლოს დაწვა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და პროკურორი დეპეშით აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ ნოემბრის 23-ს დილის 4 საათზე გადამწვარა ზუგდიდის სასამართლოს შენობა ყველა საქმებით და მთელის ინვენტარით, მოხდენილია სათანადო განკარგულება საქმის გამოძიების შესახებ.

განქორწინების პროექტი.

საკათოლიკოზო საბჭოს მიერ შემუშავებულ განქორწინების პროექტის განხილვა დაასრულა იუსტიციის სამინისტროსთან მომქმედმა საუწყებათაშორის კომისიამ. პროექტი ცოტაოდენის ცვლილებით სასწრაფოდ წარედგინება რესპუბლიკის მთავრობას და შემდეგ პარლამენტს.

სამინისტროს ახალი შტატები.

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად ახალი შტატები სამინისტროს კანცელარიისა. ამისდაკვალად მიღებულია ზომები სამინისტროს ბინის გასაფართოვებლად.

კრედიტი სასამართლოს უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობათ.

იუსტიციის მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას 50000 მანეთის კრედიტის გადადების შესახებ ათ-მილიონიან ფონდიდან სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობად.

საპყრობილეთა ინსპექტორის მოადგილე.

საპყრობილეთა ინსპექტორის უფროს თანაშემწედ და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გ. დ. კანდელაკი. ინსპექტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღსრულება დაევალა გ. ი. იარალოვს.

გზათა სამინისტროს გზის ხარჯები

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრმა მელიქ ასლანოვმა აცნობა გზათა მინისტრს, რომ მიღებულ წესისამებრ იმ ვაგონების ქირა, რომელიც ერთი გზა მეორეს აბარებს, მთავრობამ უნდა გადიხადოს შემდეგ თითონ გაუსწორდეს სხვა გზებს. მელიქ ასლანოვი სთხოვს სამინისტროს მიიღოს ზომები ამ ვაგონების ქირა დროზე შეიტანოს ადერბეიჯანის რესპუბლიკის ხაზინაში.

ცარის საკვები.

ჯარების საკვების დამზადებელ ნაწილის რწმუნებულმა ტელეფონოგრამით აცნობა სამინისტროს, რომ ჯარების საკვების გადაზიდვა ლიანდაგზე ფერხდება მთელი დღეობით. და კვირაობითაც, რითაც ჯარის გამოკვების საქმე ფერხდებაო. რწმუნებული სთხოვს სამინისტროს განკარგულება უბოძოს საქართველოს რკინის გზების ყველა უფროსთ, რომ ჯარის საკვებით დატვირთული ვაგონები შეუფერხებლივ გაისტუმრონ.

ხორბალი ტყიბულის მადნებისათვის.

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ტელეფონოგრამით აცნობა გზათა სამინისტროს, რომ 606 ფ 25 გირ. ხორბალი შეიძლება დაეთმოს ტყვიბულის მადნებს მხოლოდ ნაღდ ფულზე და თუ ამ პირობებზე თანახმა არ იქნებით, ხორბალი სხვას გადაეცემა.

ამერიკიდგან საქართველომდე*)

ამერიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატები შეიცავს 3,616484 ოთხკუთხ მილს (1 ოთხკუთხი მილი=2.276 ოთხკუთხი ვერსი.) და მცხოვრებთა რიცხვი 106 მილიონ სულს აღემატება.

როგორც მოგეხსენებათ ამერიკამ შესამჩნევი მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ომში.

ომის გამოცხადებას ამერიკაში 21—31 წლამდე საერთო მობილიზაცია მოჰყვა. ერთ მილიონ ნახევრამდე ჯარის კაცი ევროპის ბრძოლის ველზე გაგზავნა, და ამდენივე გასაგზავნად დამზადებული ამერიკაში ყავდა შვიდ მილიონ სულს მომავლისთვის ამზადებდა.

ის დარგი მრეწველობისა, რომელსაც ომის მიმდინარეობისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა დაიხურა და იქ მომუშავეების შემწეობით საომარ იარაღებს და ომისათვის საჭირო ნივთებს ამზადებდნენ.

4 წლის ომმა დაახლოვებით 4 მილიონამდე ევროპიელთა ემიგრანცია მოაკლო ამერიკას.

სულ ომმა 14 მილიონამდე მშრომელი ხალხი მოაკლო ამერიკელების შრომის ველს, რომლის მოკლებაც ქვეყანას შესამჩნევად დააჩნდა მის განვითარებულ წარმოების მრავალ დარგში.

მუშების სიმცირის გამო ბევრ ქარხანა ფაბრიკაში, მადნებში და ქვანახშირის მაღაროებში მუშაობა შეჩერებული იყო.

ქვა ნახშირის სიმცირის გამო ამერიკის დიდრონი ქალაქები სიბნელით მოცული იყო, და ბევრი ქარხანა-ფაბრიკები კვირაში 6 დღის მაგიერ 4—5 დღეს ძლივს მუშაობდენ ბევრს ალაგას უმუშევართა საყოველთაო მობილიზაცია მოახდინეს და ძალით ყანებში გარეკილთ ამუშავებდნენ. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა რომ ჯანმრთელნი თუ ჯარში არ მოხვდებოდა ომის გაგრძელებისთვის საჭირო საქმეზე მაინც დაეყენებინა და ამით უსაქმურთა ხეტიალი მოესპო.

ომის პირველ რიცხვებში, ქარხანა-ფაბრიკების მეპატრონე და მათი გამგებნი, ყანის მუშები, მადნებში ქვანახშირის მაღაროებში და ნავთის წყაროებში მომუშავენი თავიანთ ადგილებზე დასტოვეს, რადგან ეს ომის მოგებისათვის საჭირო დარგად ითვლებოდა.

ჯარის კაცს უცოლშვილოს 30 დოლარი (1 დოლარი 2 მ. იყო ომის დაწყებამდე და ეხლა 10 მ. ღირს) და ცოლშვილიანს 50 დოლარი ეძლევა თვეში ჯამაგირად. ამას გარდა ყველა ჯარის კაცი დაზღვეული არის მთავრობის მიერ უბედურ შემთხვევისათვის 2,667 დოლარად.

ომის დაწყების თანავე ამერიკამ მიჰყო ხელი ევროპაში საომარ და საჭირო სანოვაგის მოკავშირეებისთვის გზავნას, რის გამო ყველაფერი ამერიკაშივე შესამჩნევად გაძვირდა, სანოვაგის და ცხოვრების გაძვირებით მუშათა კლასი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და ბევრს ადგილას მუშათა შორის უკმაყოფილებამ და გაფიცვებმა იჩინა თავი. მაგრამ ვინაიდან ქვეყანას მუშათა სიმცირე ეტყობოდა და ამასთანავე მუშათა პარტიამ თავიანთ მეთაურების პირით ომის მოგებაში მთავრობას დახმარება და სოლიდარობა აღუთქვა მათ საქმეში მთავრობა ჩაერია და მეტს შემთხვევაში გაფიცვები მშვიდობიანად გათავდა.

მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მომხრე იყო იმისა იმ იდეით, რომ ომს უსათუოდ მოიგებენ, და ამ ომის მოგების პოლიტიკას ბევრნაირად ხსნიან და თავს მართულობენ ომში შესვლისთვის.

ზოგი საფრანგეთს ამერიკაში რევოლიუციის დახმარებისთვის სამაგიეროს ამ გაჭირვებისთვის უხთის, ზოგს ბელგიის, სერბიის, და პოლონეთის დარბევა ენანება და ზოგიც ლუზიტანიის ჩაძირვით გაჯავრებული საერთო ხმას ბანს აძლევს. ვინც შორს მჭვრეტელია და ესმის ნამდვილი მიზეზი იბრძვიან და ემზადებიან რომ სხვა სახელმწიფოების დაუძლურების დროს თვით დაუზიანებელი და ძლიერი დარჩეს, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზე და ევროპაში და აზიაში არა მეზობელი სახელმწიფოები (კანადა 3.729,665 ოთხ-კუთხი მილი 10 მილიონი მცხოვრებით და მექსიკის რესპუბლიკა 767 ოთ. მილი 15 მილლიონი მცხოვრებით). მაინც შემოიერთოს.

ამიტომ ამერიკა ემზადება როგორც ატლანტის ისე წყნარე ოკეანეში მყოფ მოკავშირეთათვის.

კაპიტალით ზურგ გამაგრებული ამერიკა მილიტარიზმის ტალღამ გაიტაცა. აშენებს საომარ საჭიროებისთვის უზარმაზარ ზავოდებს და ვებერთელა გემებს ყოველ თვეობით უშვებს. სამხედრო და სავაჭრო გემებით ძლიერს ეხლა ჰაერის ფლოტი აოცნებებს, რომ მილლიონობით თუ არა ათასობით მაინც გაგზავნოს აღთქმულ ქვეყანაში ჯოჯოხეთის გასაჩენად!

ამერიკის ომში შესვლამ ხალხი ნამდვილ პატრიოტებს დაამზგავსა და მთავრობისადმი ერთგულების ნიშნად ყველას გულზე ეროვნული დროშა და „თავისუფლების ბონების“ ფოლაქები აქვრიათ. და ვაი იმ უბედურის ბრალი, ვისაც არ აქვს ეს ნიშნები! ამიტომ იშვიათად შეხვდება კაცი იმისთანას არა თუ კაცს და ქალს, არამედ ბავშვებსაც, რომ თავისუფლების ბონები და ეროვნული ბაირაღები არ ჰქონდეთ.

ომის მოწინააღმდეგენიც იყვნენ პირველ ხანებში, მაგ. გერმანელები, სოციალისტები და ინდუსტრიალისტები. პირველთ დიდ ბრალსა სდებდნენ გაფიცვების და აჯანყების მოწყობაში და ამიტომ იმათ ყოველ წარმოების დარგიდან სდევნიდნენ და ბევრს შემთხვევაში მათ ოჯახებსაც არბევდნენ და იკლებდნენ. ბევრნაირად შეურაცყოფით ეროვნულ ბაირაღზე კოცნას უბრძანებდნენ და ერთი „კაიზერის“ ლოიალობისთვის ცოცხლად დასწვეს.

ერთ დიდ პროცესზე ქ. სან ფრანცისკოში (კალიფორნიის შტატი), რომელზედაც ინდოელებს და გერმანელებს ბრალს სდებდა ამერიკის მთავრობა ამერიკაში დიდ ბრიტანიის საწინააღმდეგო ორგანიზაციის მოწყობაში, სასამართლოში ერთმა პოლიტიკურმა ინდოელმა ემიგრანტმა მოჰკლა მეორე ამხანაგი ინდოელი ემიგრანტი და მკვლელი კი იქვე მოჰკლა იქ მყოფმა პოლიციელმა. საქმის ნამდვილი მდგომარეობა გამოურკვეველი დარჩა, მხოლოდ ოც და ათამდე გერმანელებს სხვა და სხვა ვადით ციხე მიუსაჯეს.

ქალაქებში, სადაც მოხალისეებს მოუწოდებდნენ ჯარში შესასვლელად ქუჩებში საჩვენებლად გერმანია დახატული იყო, როგორც ამერიკელი გორილა მაიმუნი ხელში მონატაცებ მშვენიერ ქალით ზედ წარწერით: მოსპეთ ეს მტარვალი. ამისთანა მოვლენებს ხალხი ძლიერ ეტანება და ეჩვევა, როგორც თეატრებში, ისე მოძრავ სურათების წარმოდგენაზე, მაგრამ ერთმა ახალგაზრდა გერმანელმა გადააჭარბა თვით ნამდვილ პატრიოტებს და წარწერის შინაარსი ბრწყინვალედ შეასრულა ნახატის დახევით, მაგრამ ის დამნაშავედ იცნეს და ციხეში გაგზავნეს!

სოციალისტები პირველად აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ ომს, მაგრამ ამით მასსაში ნიადაგი დაკარგეს და ბოლოს და ბოლოს სოციალისტ-პატრიოტებად გადაიქცნენ, მთავრობას ყველაფერში მხარი დაუჭირეს ინდუსტრიალისტები მუდამ წინააღმდეგნი იყვნენ და იქნებიან, სანამ თავიანთ მიზანს ვერ მიაღწევენ, მაგრამ იმათი რიცხვი ისე ცოტა აღმოჩნდა, რომ ციხე საპყრობილეებიც ვერ გაავსეს!

ომის დაწყებისთანავე ცენზურა შემოიღეს და ამით ბევრ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს წირვა გამოუყვანეს. როგორც ომის ისე რუსეთში ცვლილების ამბები დაახლოებით კარგად მოდიოდა. და ამიტომ თუ პირველ ამბებზე რუსეთს აღფრთოვანებით მოეპყრენ ბოლოს სიძულვილით და ლანძღვით იხსენიებდნენ.

ატლანტიის ზღვაზე მგზავრობის საქმე ძლიერ შეაჩერა გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედებამ, რომლებიც ბელგიაში დაყვინთელებული ნიუ-იორკის ნავთსადგურთან ამოყოფდნენ თავს! და ბევრ გემსაც ზარალს აყენებდნენ. თუ სუბმარინის შიშმა ატლანტიის ზღვა გადაკეტ მგზავრთათვის მშვნარ ოკეანესკენ კი რუსეთ-იაპონიის გართულებულმა მდგომარეობამ, და ამერიკის მთავრობისგან მგზავრთათვის თავისუფალ მგზავრობის აკრძალვამ.

იოსებ ლომაძე.

მოწერილი ამბები

ფოთი. არც ერთი ქალაქი ისე უპატრონოდ არ არის დატოვებული, როგორც ფოთი. დღე ისე არ გაივლის ძარცვა-გლეჯა, ქურდობა არ მოხდეს და ყველა ეს ხდება თვალსაჩინო ადგილზე. გასულ ოქტომბრის 9 საღამოს 7 საათზე ყაჩაღები თავს დაესხნენ ხე-ტყის მრეწველს ქიშვარდი კეკელიძეს (სომხის ქუჩაზე) და გაიტაცეს 125.000 მან. კეკელიძეს თავი გაუტეხეს და მარჯვენა ხელი მოსტეხეს. სახლში შემსვლელი სამი პირი და მათი ხელ-შემწყობნი ეტლით მისულან და ისე შემორტყმიან სახლს. ვინც სახლში შევიდნენ: ბურჭულაძე, ბურძგლია და ანთელიძე სამივე აღმოაჩინა თვით კეკელიძემ და ციხეში სხედან (ძლიერ „სასტიკად“ ეპყრობიან: ვინც უნდა ის ნახულობს და სადაც უნდათ წერილს გზავნიან), ამ საქმის წარმოება დიდი ხნის შემდეგ გადასცეს ადგილობრივ გამომძიებელს და იმავე ღამეს გამომძიებლის კამერას ცეცხლი წაუკიდეს; უთუოდ წინად მიცემული ჩვენების გაქარწყლება სურდათ ბოროტმოქმედებს. მაგრამ გამომძიებელმა გადაარჩინა. რა ზომა მიიღო მილიციის უფროსმა კილურაძემ? არაფერი. დარწმუნებით ამბობენ, რომ მილიციონერები ამ ბოროტებაში მონაწილეობას იღებდნენო, და ეს იმიდან სჩანს, რომ როცა კილურაძეს მისმა თანაშემწემ ნიჟარაძემ, ოზურგეთიდან დაბრუნებისას, ნატანებიდან დეპეშა გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის: „დაიჭირეთ მილიციონერები: მეგრელაძე, მამინაიშვილი და ისე მოათავსეთ ციხეში, რომ ერთმანეთს არ დაელაპარაკონო“, კილურიძე არა თუ ასე მოიქცა, არამედ დეპეშის შინაარსი გააგებია მათ და თავისუფლად დასეირნობენ. სერგია ბურჭულაძე მესამე დღეს (დამცემის ძმა) ღვინით გაქლენთილი ეტლით დასეირნობდა სომხის ქუჩაზე რევოლვერების სროლით და გაიძახოდა: კეკელიძე ოჯახიანად უნდა ამოვწყვიტოვო. ამ საქმის შესახებ, როცა გამოძიება დასრულდება, მაშინ გამოვაცხადებ ოზურგეთის მაზრის საყურადღებოდ. თუ ვინ, რა დარგის მწარმოებელნი ღებულობდნენ მონაწილეობას. ორი მონაწილე ამ ფულების გატაცებაში ღლონტი და გორდელაძე სათათრეთში გადავიდა. ენკენისთვეში გაძარცვეს აბრამა ჟურია, წაართვეს 6.000 მან., მაგრამ ჟური არავინ ათხოვა ამ საქმეს.

ნოემბრის 7 ღამის 1 საათზე, მიხეილის ქუჩაზე გასტეხეს მამისვილოვის მაღაზია აუარებელი საქონელი წაიღეს და დუქანს ცეცხლი გაუჩინეს. კიდევ კარგი, ვიღაცას შეემჩნია, თორემ მთელი ფოთი გადაიბუგოდა, ისეთი საშინელი ქარი ჰქროდა. ნუ თუ ასეთი თვალსაჩინო ბოროტება არ უნდა აღმოაჩინოს?

საჭიროა გუბერნიის კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა შესაფერისი ზომები მიიღოს და ადმინისტრაცია გასწმინდოს. X.

ქ ჭიათურა. ჭიათურის ქალთა საზ. გამგეობამ ივლისში მოკრიბა შემოწირულება ჭიათურის მოქალაქეთა შორის ჩვენი სახელოვან ჯარის-კაცების და სახალხო გვარდიელებისათვის, რომლებიც მაშინ ებრძოდნენ საჩხერის რაიონში ყაჩაღთა ბრბოებს. ფულად მოკრებილ იქნა 649 მან. 50 კაპ. და სანოვაგე: ყველი, შაქარი, ასანთი, ჩაი, მურაბა, პაპიროსები, კვერცხი და სხვა **ოთხასი მანეთამდე ღირებული.**

მოკრებილ თანხიდან მოგროვილ სანოვაგეს მიემატა კიდევ სანოვაგე: ყველი, პაპიროსები, კვერცხი და ასანთი 147 მან. 20 კ. და ყველა ეს სანოვაგე გადაეცა დ. საჩხერეში, რაზმის სურსათის გამგეს ბ. მიხ. გამყრელიძეს დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

მოხსენებულ ყაჩაღთა ბრბოსთან ბრძოლაში დაღუპულ ალექსანდრე ბრეგაძის დედას მიეცა დახმარება 150 მან.

ორი კვირის განმავლობაში ჯარის კაცებს და სახალხო გვარდიელებს პოზიციაზე ეგზავნებოდა ოთხი სხვა და სხვა მიმართულების ქართულ-რუსული გაზეთები რვა ცალი 200 მან. საჩხერიდან—აქ, დასასვენებლად ჩამოსულ ჯარს დაურიგდა: პაპიროსები და ასანთი 150 მან. წერილების გასაგზავნი ხარჯი 2 მან. 30 კაპ. სულ 549 მან. 50 კ.

ჭ. ქალთა საზ. გამგეობა ღრმესი და უგულითადესი მადლობას სწირავს ჭიათურის მოქალაქეთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და გამოიღეს თავიანთ წვლილი ჩვენ მამაც, სამშობლოსათვის თავდადებულ და თავისუფლების დამცველ მებრძოლ რაზმისათვის რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს არ ზოგავდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ ბანდებს.

ჭიათურის ქალთა საზ. გამგეობა.

ბ-ნ პლატონ თალაკვაძეს.

ამ.-კავკ. კოოპერატივთა კავშირის ქუთ. განყოფილების ბ-ნო გამგევ! აგერ ორი თვე გადის, რაც თქვენდამი რწმუნებულ განყოფილების კანტორის გამგემ **ბიკტორ მახარაძემ** თავისი „მოხერხებული“ ვაჭრობით თორმეტი-ათას მანეთამდე მიითვისა კავშირიდგან და თქვენ კი არა თუ არ მიიღეთ მის წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული ზომები, არამედ ფიქრობდით შინაურულად მოგეგვარებიათ ეს საქმე და არათუ არ გადაეცით ეს საქმე სასამართლოს ბრალმდებელს, არამედ არც მთავარ გამგეობისათვის გიცნობებიათ მისი ასეთი საქციელი და, როგორც ამბობენ, ცდილობთ გამოუძებნოთ საშუალება სალიკვიდაციო ფულების მიღებისა. აგრეთვე თქვენ არ მიგიღიათ ზომები მას დაუყონებლივ შემოეტანა მითვისებული ფულები სრულად და დაყოვნება კი უდრის სრულიად დაკარგვას ამ ფულებისას. ბოროტი ენები ამბობენ, რომ თქვენი ასეთი ყურადღება **ბიკტორ მახარაძესადმი** არის ერთნაირი კომპენსაცია იმ **„დამოკიდებულების“** შესანარჩუნებლად რომელიც არსებობდა თქვენს და მას შორის. მაგრამ ეს თქვენ მაინც უფლებას არ გაძლევთ აშკარად დაივიწყოთ კავშირის ინტერესები და ამიტომ გეკითხებით: რა ზომებს აპირებთ მიმართოთ რომ კავშირისთვის უზრუნველყოფილ იქმნეს **მახარაძის** მიერ მითვისებული ფულები და ან რომ **მახარაძეც** დასჯილ იქმნეს შესაფერად მის მიერ ჩადენილ დანაშაულობისათვის

„ბანი“.

**გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.**
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იყიდება ბუტკა
კიროჩნი ქ. ₄.
პირობების გაგება შეიძლება ქართული კლუბის შესავალში სიმონ გალაშვილთან. 2446

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგზით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 2—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საზვით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ჟ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ი. ი. [illegible] [illegible] ვენერიული, [illegible] ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვ“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ა. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6-8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი გ. მუხადიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

თვალის სამკურნალო. მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. **ლევინშტეინისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა- მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულისა და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დ დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92 **საწყლებს ღებულობს უფასოდ.** 1340

**კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის**
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ზ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. აფთიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. აფთიხიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნაგახარდიანი.**

---

*) ამ წერილის ავტორი 12 წელიწადს იყო ამერიკაში და მასში გამოსული ეხლა ჩამოვიდა საქართველოში. **რედ.**

სტამბა „სახალხო საქმე“ ტფილისი, [illegible]